

# "ეს იყო ხედისუფდების შეცდომა, რომედსაც მოჰყვა ხადხის სამართლიანი მშვიდობიანი პროტესტი"

❑ საქართველოს საპატრიარქო გუშინდელ საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს და ხედისუფდებას მოვლენების სასწრაფო გამოძიებას სთხოვს.

*“დიდია ჩვენი გურისტკივირი პარდამენტთან შუალამისას განვითარებული მოვლენების გამო, რის შედეგადაც დაშავდა მრავალი ადამიანი, მეტწილად ახადგამრდები. ქვეყნის სიყვარულით გურანთებული ათასობით ახადგამრდა სამშობლოს ღირსების დასაცავად გამოვიდა რუსთავდრბე და თავისი სამართლიანი გურისწყრომა გამოხატა პარდამენტის სხდომათა დარბაზში რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს იმ წევრის თავმჯდომარეობის გამო, რომედმაც მხარი დაუჭირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხედყოფას.*

*ეს იყო ხედისუფდების შეცდომა, რომედსაც მოჰყვა ხადხის სამართლიანი მშვიდობიანი პროტესტი; მაგრამ არამართებული მოწოდებებით მიტინგს სახიფათო სახე მიეცა, მოვლენები მყისიერად განვითარდა და პარდამენტის შენობის ძადით დაკავების მცდედლობაში გადაიბარდა.*

*ვფიქრობთ, საჭიროა, ხედისუფდებამ სასწრაფოდ გამოიძიოს მიბეგები და სათანადო სტრუქტურებმა, მასმედიაში და ექსპერტებმა მიუკერძოებელი შეფასებები გააკეთონ როგორც მომხდართან დაკავშირებით, ისე ზოგადპოლიტიკურ პროცესებთან მიმართებაში, რათა საზოგადოებას არსებული ვითარების გააზრების საშუადრება მიეცეს, შენარჩუნდეს მშვიდლობა და პროცესებმა სამოქადრეო დაპირისპირების სახე არ მიიღოს. ღმერთმა მოგვცეს ძადა, რომ ჩვენმა ხადხმა ეს გამონვევები დაძიოს და მათ ღირსეული პასუხი გასცეს”, – ნათქვამია განცხადებაში.*

პარდამენტის შენობის წინ საპროტესტო აქციის დაშლის შედეგად სამედიცინო დაწესებულებებში გადაყვანილია 240 პაციენტი, აქედან 80 პოლიციერია. ამ დრომდე საავადმყოფოებში რჩება 102 პაციენტი.